სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

17467379903124

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240290575

რეგისტრაციის თარიღი

11.03.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47

ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის თერთმეტ მარტს მე, **ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას** შემცვლელ პირს ელისო მურღულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზირი 47-ში, მომმართა **დავით შენგელიამ.** მან განაცხადა, რომ წარმოადგენს შპს **„კაპაროლ ჯორჯია“-ს (ს/ნ 202248503)** დირექტორს და წარმომიდგინა უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24014776, 07/02/2024 10:49:10.** მან მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ბორის გამრეკელს** (დაბ.22.12.1962წ. თბილისში, პ/ნ 01008003148) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით შენგელიამ** (დაბადებული 10.09.1962წ. თბილისში, პ/ნ 01024003652, რეგისტრირებული: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 24ბ, ბინა 24)მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე შევადგინე ტექსტი, რომელიც წაიკითხა მან და დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

მინდობილობა

შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს (ს/ნ 202248503) დირექტორმა **დავით შენგელიამ,** რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი“ **ბორის გამრეკელს** შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **რწმუნებული იცავს** საზოგადოების ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში, არქივებში, ქალაქ თბილისის მერიაში და მის ნებისმიერ სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს.
2. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება ან სარჩელი სასამართლოში, ადმინისტრაციული საჩივარი. გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, განაცხადოს თანხმობა თავისი შეხედულებისამებრ. გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება. წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცე სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარადგინოს თავისი დასკვნები და მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, მორიგების, მოთხოვნის გაზრდის, სარჩელზე უარის თქმის, გამოთხოვების უფლებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი. აწარმოოს საქმე საარბიტრაჟო სასამართლოში, კერძო მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, მიიღოს სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო საქმეთა წარმოებაში, საქმე დაასრულოს მორიგებით.

3. რწმუნებული უფლებამოსილია საზოგადოების სახელით წარადგინოს განცხადებები, ადმინისტრაციული საჩივრები, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია.
4. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულების უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
5. რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით. მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შეასრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.
6. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.
7. რწმუნებული უფლებამოსილი არის ამ რწმუნებულებით მინიჭებული უფლებები გადასცეს სხვა პირებს.
8. რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ,,მარწმუნებელს“.
9. რწმუნებულება გაცემულია **2025 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით,
რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, თან ერთვის:
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი ელისო მურღულია

